ოქმი N5

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

19 მარტი 2025 წელი

ქ. ხობი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. მზია ლემონჯარია
4. გივი ლატარია
5. აკაკი ხურცილავა
6. მაკა ჩარტია

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის საგვიჩიოს საჯარო სკოლის დირექტორის თეონა მეგრელიშვილის 2025 წლის 17 მარტის N **06-51250766-51** წერილის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის საგვიჩიოს საჯარო სკოლის დირექტორის თეონა მეგრელიშვილის 2025 წლის 17 მარტის N N **06-51250766-51** წერილის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩიოს საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სამეურვეო საბჭოს ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩიოს საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების შესახებ. სამეურვეო საბჭოს ინიციატივით მიმართა საგვიჩიოს მოსახლეობამ და ითხოვა 2004 წელს აგვისტოს ომში დაღუპული კობა შუბითიძის სახელის მინიჭება.

„საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების თანახმად, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება განხილულ იქნა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ და მომზადდა განკარგულების პროექტი: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩიოს საჯარო სკოლისთვის კობა შუბითიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე"

საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **6**; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩიოს საჯარო სკოლისთვის კობა შუბითიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე " წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს ინიცირების წესით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი